პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

585
1980

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 5 (473)

1980 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 5 (473) მაისი 1980 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის გ. ი. თარხნიშვილის ვადაზე ადრე განთავისუფლების შესახებ

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ლ. ქობლიანიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დამტკიცების შესახებ

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთა დამტკიცების შესახებ

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინური საქმეების კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მიწის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წყლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

158. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორების დამტკიცების შესახებ

## განყოფილება მეორე

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. მ. სამსონაძისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ვ. ალანიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. რ. კაკალაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. თ. სულავასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ქადარიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. კაჭკაჭიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ვ. როსტიაშვილისათვის საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ე. ტურაბე-ლიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ბ. იარალო-ევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-ების შესახებ

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გმირი ქალაქების კიევისა და ქერჩის მუზეუმების და ბრესტის გმირი ციხესიმაგრის მემორიალის საქარ-თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ლ. ბერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. კლიმია-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. თ. ლობჟა-ნიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-ების შესახებ

178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

179. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. სარქის-ანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. შადურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. საგანელი-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

183. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საქართვე-ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

184. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

185. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. კ. გოგოძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

186. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. დ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

187. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. მ. კოკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

188. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ლაბახუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

189. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. პ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

190. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ე. ნაკაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. რჩეული-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ

192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტრესტ „კავკა-ზელექტროქსელმშენის" მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 148 კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის გ. ი. თარხნიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ივანეს ძე **თარხნიშვილი** კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 149 ამხ. გ. ლ. ქობლიანიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გურამ ლევანის ძე **ქობლიანიძე** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 14 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 150 საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. **დაწესდეს** საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი".

საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი" შეიძლება მიენიჭოთ მაღალკვალიფიციურ მოწინავე მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, ბრიგადირებს, ოსტატებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებმაც თავიანთი ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობით განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციასა და ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეების პროფესიულ დაოსტატებას, კოლექტივის საქმეებში მათ ჩაბმას, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და კადრების დენადობის შემცირებას, აქვთ ერთ საწარმოში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში უწყვეტი მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი და ახალგაზრდობის დამრიგებლად მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საპატიო წოდებების შესახებ დებულების პირველ განყოფილებას 24-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს: „24ა. „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი", ხოლო მეორე განყოფილებას 24-ე პუნქტის შემდეგ — „24ა. საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი — მაღალკვალიფიციურ მოწინავე მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, ბრიგადირებს, ოსტატებს, რომლებმაც თავიანთი ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობით განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციას, ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეების დაოსტატებას, კოლექტივის საქმეებში მათ ჩაბმას, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და კადრების დენადობის შემცირებას, აქვთ ერთ საწარმოში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში უწყვეტი მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი და ახალგაზრდობის დამრიგებლად მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 16 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 151 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ამხ. ვალერიან ალექსანდრეს ძე **ედიშერაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 19 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 152 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

**დამტკიცდეს** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი 7 კაცის შემადგენლობით:

**პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

აკაკი გრიგოლის ძე **კარანაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**პრეზიდიუმის წევრები**

ვალერიან ალექსანდრეს ძე **ედიშერაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გრიგოლ გრიგოლის ძე **დევდარიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

დურმიშხან ანთიმოზის ძე **ლორია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

გივი იროდიონის ძე **ეხვაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ალექსანდრე არსენის ძე **ღუღუნიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ივანე შალვას ძე **ჟორდანია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი. 1980 წლის 19 მაისი.**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 153 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

**დამტკიცდნენ** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ — ამხ. ვალერიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრეს ძე **ედიშერაშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ — ამხ. გრიგოლ გრიგოლის ძე **დევდარიანი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1980 წლის 19 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 154 საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინური საქმეების კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინურ საქმეთა კოლეგია შვიდი კაცის შემადგენლობით:

**დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე**

გივი იროდიონის ძე **ეხვაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

**დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრები**

ივანე ზაქარიას ძე **გოგილაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

გუჯასპი სიმონის ძე **მაღრაძე** — თელავის რაიონის სახალხო მოსამართლე

რუსუდან ვასილის ასული **პიტავა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ევგენი პავლეს ძე **ხითარიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ივანე ნიკოლოზის ძე **ქრისტესიაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

თამარ სოლომონის ასული **ყრუაშვილი** — თერჯოლის რაიონის სახალხო მოსამართლე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1980 წლის 19 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 155 სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

ითვალისწინებს რა მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალრიცხოვან სურვილებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე, 92-ე, 150-ე, 151-ე და 152-ე მუხლებში შემდეგი ცვლილებები:

1. 91-ე მუხლში:

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე";

ამ მუხლის შენიშვნას ციფრების „150-153-ე" შემდეგ დაემატოს ციფრები „240, $252^{1}$".

2. 92-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძარცვა, ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ან ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განმეორებით, ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე".

3. 150-ე მუხლში:

მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, ან ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განმეორებით, ან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

ქურდობა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან საცხოვრებელ სადგომში შეღწევით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ათ წლამდე";

ამ მუხლის შენიშვნაში ციფრები „$96^{1}$ და 152-ე" შეიცვალოს ციფრებით „$96^{1}$, 152-ე, 240-ე და $252^{1}$".

4. 151-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გაძარცვა, დაკავშირებული ძალადობასთან, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, აგრეთვე გაძარცვა, რომელმაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, ან ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განმეორებით, ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

გაძარცვა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან საცხოვრებელ სადგომში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე".

5. 152-ე მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს მეხუთე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყაჩაღობა, ჩადენილი:

1) პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით;

2) სხეულის მძიმე დაზიანებით;

3) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ;

4) იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი აქვს ყაჩაღობა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, ან ბანდიტიზმი;

5) საცხოვრებელ სადგომში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ."

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 156 საქართველოს სსრ მიწის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 7 იანვრის ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მიწის კოდექსში (საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 7, მუხ. 124; 1978 წ., № 7, მუხ. 140) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის ამოცანები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიწის კანონმდებლობის ამოცანებია საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის მიწების მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის, მათი ეფექტიანობის ამაღლების პირობების შექმნის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, საადგილმამულო ურთიერთობის დარგში კანონიერების განმტკიცება“.

2. მე-4 მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4.** მიწის სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად მიწა სახელმწიფო საკუთრებაა — მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებაა“.

3. მე-7 მუხლში:

მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:;

„5) მიწების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8) მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხების მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად:.

4. მე-8 მუხლს სიტყვების „გადიდების გეგმების დადგენა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მიწების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება“.

5. მე-12 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, მათ აქვთ მიჩენილი უვადო სარგებლობისათვის“.

6. 22-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიწათმოსარგებლენი ვალდებული არიან რაციონალურად და ეფექტიანად იყენებდნენ მიწას, უფრთხილდებოდნენ მას, მათთვის მიცემულ მიწის ნაკვეთზე არ მოიმოქმედონ ისეთი რამ, რაც შელახავს მეზობელ მიწათმოსარგებლეთა ინტერესებს“.

7. 26-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულსა და ტორფს ამუშავებენ, ეწევიან გეოლოგიურ-სადაზვერვო, საძიებო, სამშენებლო და სხვა სამუშაოებს მათთვის სარგებლობისათვის მიცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ან ტყის სავარგულებზე, მოვალენი არიან

ამ მიწების საჭიროების განვლის შემდეგ თავის ხარჯზე გაავარგისონ ისინი ისე, რომ გამოსადეგი იყოს სოფლის, სატყეო თუ სათევზე მეურნეობისათვის, ხოლო აღნიშნულ სამუშაოთა სხვა მიწებზე წარმოების დროს — დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. მიწის ნაკვეთების გავარგისება ხდება სამუშაოთა წარმოების დროს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია — სამუშაოთა დამთავრების შემდეგ იმ ორგანოს მიერ დაწესებულ ვადაში, რომელმაც გასცა მიწის ნაკვეთები სარგებლობისათვის, დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტების შესაბამისად“.

8. 27-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო ან სხვა მშენებლობას, ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, აგრეთვე აწარმოებენ ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, მოვალენი არიან მოაცილონ, შეინახონ და მოაყარონ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა რეკულტივირებულ მიწაზე ან მცირეპროდუქტიულ სავარგულებზე“.

9. 29-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიწების მელიორაციისა და დაცვის, მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს და სხვა ზომებს, რომელთა მიზანია მიწების ძირეული გაუმჯობესება, ითვალისწინებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა და მათ ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და მიწათმოსარგებლეები“.

10. 42-ე მუხლში:

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სარწყავი და ამოშრობილი მიწების, სახნავის, მრავალწლიანი ხეხილით, ვენახებით, ჩაის პლანტაციებით, კულტურული საძოვრებით, აგრეთვე სათიბებით და საძოვრებით, რომლებზეც ჩატარებულია მუშაობა მათი ძირეულად გაუმჯობესებისათვის, დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოყოფა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, წყალდამცავი, დამცავი და სხვა პირველი ჯგუფის ტყეებით დაკავებული მიწის გამოყოფა ისეთი მიზნისათვის, რაც დაკავშირებული არ არის ტყის მეურნეობების წარმოებასთან, ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში და მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. მილგაყვანილობის, ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვა სახაზო ნაგებობების მშენებლობისათვის აღნიშნული მიწების გამოყოფა მათი დროებით ხანმოკლე სარგებლობისათვის გადაცემის მიზნით დაიშვება აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილების ანდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე“;

მესამე ნაწილს სიტყვების „მიწის გამოყენებაზე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და დაცვაზე“.

11. მეცხრე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავი IX

## მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლი

**მუხლი 48.** მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის ამოცანები

მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ მიწის კანონმდებლობის, მიწათსარგებლობის წესის დაცვა, მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის წარმოების სისწორე მიწის რაციონალური, ეფექტიანი გამოყენებისა და დაცვის მიზნით.

**მუხლი 49.** მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი ორგანოები

მთელი მიწების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით".

12. 59-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 59.** კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი მიწების შემადგენლობა

მიწები, რომლებიც კოლმეურნეობებს მიცემული აქვთ მიწათსარგებლობის შესახებ სახელმწიფო აქტით, შედგება საზოგადოებრივი სარგებლობისა და საკარმიდამო მიწებისაგან. საკარმიდამო მიწები საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებისაგან გაიმიჯნება ადგილზე".

13. 82-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებში მდებარე საცხოვრებელ ნაგებობაზე საკუთრების უფლების მემკვიდრეობით გადასვლის შემთხვევაში, მემკვიდრეებს, თუ მათ არა აქვთ დადგენილი წესით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიღების უფლება, მიეცემათ სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის ნაწილი, რაც აუცილებელია ამ ნაგებობის შესანახად. ამ მიწის ნაკვეთის ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო".

14. 83-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 83.** იმ მოქალაქეთა მიწათსარგებლობა, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში

მოქალაქეები, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, დაფუძნებულს მათსა და ოჯახის წევრთა პირად შრომაზე, სარგებლობენ მათთვის მიცემულ საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთით. ამ მოქალაქეებს საყანე მიწის ნაკვეთი ეძლევათ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სახელმწიფო მარაგის მიწებიდან, ხოლო საკარმიდამო მიწა — დასახლებული პუნქტის მიწებიდან ამ კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესსა და ნაკვეთის ოდენობას იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო".

15. 115-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვების „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს".

16. 119-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სასამსახურო მიწის ნაკვეთს გამოყოფენ იმ მიწებიდან, რომლებიც სათანადო სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სარგებლობაშია, ხოლო ასეთი მიწების ნაკლებობისას — სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან, სასამსახურო მიწის ნაკვეთები იმ მიწებიდან, რომლებიც საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სარგებლობაშია, გამოიყოფა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ხოლო სახელმწიფო მარაგისა და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით".

17. 130-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო მიწათმოწყობის ამოცანებია მიწების უფრო სრული, მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების ორგანიზაცია, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და მიწების დაცვა".

18. 131-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „რაიონული დაგეგმარების სქემების საფუძველზე".

19. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $9^1$, $9^2$ და $27^1$ მუხლები:

**„მუხლი $9^1$.** სახელმწიფო მმართველობა მიწის გამოყენებისა და დაცვის დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების თანახმად, მიწის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მმართველობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი $9^2$.** საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველსაყოფ საქმიანობაში მათი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას".

**მუხლი 27[1].** სარგებლობისათვის გადაცემული მიწების ნაკვეთების ფარგლებს გარეთ განლაგებულ სატყეო და სხვა სავარგულებზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილება ან შეზღუდვა

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულსა და ტორფს ამუშავებენ, აგრეთვე აწარმოებენ სხვა სამუშაოებს, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთების ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და სხვა სავარგულებზე, მოვალენი არიან გაითვალისწინონ და განახორციელონ ღონისძიებები ზემოაღნიშნული უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად ან მაქსიმალურად შესაზღუდავად".

20. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის XII კარი:

## „კ ა რ ი XII

### საერთაშორისო ხელშეკრულებები

**მუხლი 156.** საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საბჭოთა მიწის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

იგივე წესი გამოიყენება საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები".

21. მე-10-14, მე-16, მე-19, 21-ე, 30-ე, 34-ე, 36-ე, 37-ე, მე-40-47-ე, 50-ე, 52-ე, 54-ე, 56-ე-მე-60, 62-ე-65-ე, 68-ე, 69-, 72-ე, 74-ე-77-ე, მე-80, 81-ე, 84-ე-86-ე, 89-ე, 91-ე, 93-ე-95-ე, 97-ე, 99-ე, 101-ე, 102-ე, 104-ე, 109-ე-112-ე, 115-ე-118-ე, 122-ე, 123-ე, 126-ე, 131-ე, 133-ე, 138-ე-144-ე, 146-ე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

147-ე, 149-ე, 153-ე და 155-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ და „საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“ და „საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია“.

22. 42-ე და 133-ე მუხლებში სიტყვის „სამინისტროები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სახელმწიფო კომიტეტები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 157 საქართველოს სსრ წყლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 7 იანვრის ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ წყლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1974 წ., № 6, მუხ. 107; 1975 წ., № 7, მუხ. 150) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1.** საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობის ამოცანები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წყლის კანონმდებლობის ამოცანებია საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების შესაბამისად, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების, გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან წყლის დაცვის, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის, წყლის ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, საწყლო ურთიერთობათა დარგში კანონიერების განმტკიცება“.

2. მე-4 მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4.** წყლის სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად წყალი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას — მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებას".

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეცხრე პუნქტი:

„9) წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხების მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად".

4. მე-9 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის სპეციალურად რწმუნებულ სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში".

5. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას".

6. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 13.** იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტთა განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე

ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების განლაგებისას, დაპროექტებისას, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წყლის რაციონალური გამოყენება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით და სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დაკმაყოფილებით. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტებიდან აღებული და მათში დაბრუნებული წყლის აღრიცხვას, წყლის დაცვას გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას, მიწების დატბორვის შეზღუდვას მინიმალურად აუცილებელ ოდენობამდე, მიწების დაცვას დამლაშებისაგან, წყლის შედგომის ან გამოშრობისაგან, აგრეთვე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და ლანდშაფტების შენარჩუნებას".

7. 30-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 30.** სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესი

სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების ნებართვის საფუძველზე, ხოლო იმ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კოდექსის 31-ე მუხლით — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვის საფუძველზე. ასეთი ნებართვა გაიცემა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ. სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა წყლის ობიექტებზე, რომლებიც განკერძოებულ სარგებლობაში აქვს მიცემული საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას — პირველადს წყალმოსარგებლეს, გაიცემა ამ საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების თანხმობით. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში აღნიშნულ წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას გასცემენ პირველადი წყალმოსარგებლეები წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით".

8. 38-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განსაკუთრებული მცირეწყლიანობის, წყლის ობიექტებზე ავარიული სიტუაციების, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გაჩენის საშიშროებისა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფოს სხვა ინტერესების, აგრეთვე სხვა წყალმოსარგებლეთა ინტერესების გამო, მაგრამ ამასთან არ უნდა გაუარესდეს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის პირობები".

9. მე-60 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წყალმოსარგებლე ორგანიზაციის ტერიტორიის გარეთ განლაგებული სასამსახურო მიწის ნაკვეთების, საკარმიდამო მეურნეობისა და ბოსტნების წყლით მომარაგება, მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობების, აგრეთვე იმ მოქალაქეთა მიწის ნაკვეთების წყლით მომარაგება, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით წყალსარგებლობის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად".

10. 79-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 79.** წყლის ობიექტების ცნობა ბუნების ან ისტორიისა და კულტურის ძეგლებად

მეცნიერული ან კულტურული ღირებულების მქონე წყლის ობიექტები, რომლებიც არ არის გამოცხადებული ნაკრძალად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ცხადდება ბუნების ძეგლად, ან ისტორიისა და კულტურის ძეგლად ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად. გადაწყვეტილება ბუნების ან ისტორიისა და კულტურის ძეგლად წყლის ობიექტის გამოცხადების თაობაზე და ამ ობიექტებით სარგებლობის ძირითადი პირობების შესახებ ეცნობება მოსახლეობას და დაინტერესებულ ორგანიზაციებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 88. საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტებით სარგებლობის მოწესრიგება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის (სხვა მოკავშირე რესპუბლიკების) ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტებით სარგებლობა იმ ნაწილში, რომელიც ეხება მათ ინტერესებს, მოწესრიგდება საქართველოს სსრ და დაინტერესებული რესპუბლიკის (დაინტერესებული რესპუბლიკების) ორგანოთა შეთანხმებით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც წყლის ობიექტით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ორგანოები ვერ შეთანხმდებიან, საკითხი გადაწყდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით".

12. 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის სასაზღვრო წყლებზე წყალსარგებლობა ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

წყალსარგებლობა, თუ იგი სასაზღვრო წყლების საბჭოთა ნაწილში მთლიანად არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირი, განხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად".

13. 97-ე მუხლს დაემატოს შემდეგი სიტყვები:

„სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ამ მიზნისათვის შეიძლება დაწესდეს წყალდამცველი ზონები (ზოლები)".

14. 106-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თვითმდინარე და სადაზვერვო ჭაბურღილები, აგრეთვე ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ჭაბურღილები, ან რომელთაც არ იყენებენ, უნდა აღიჭურვოს მარეგულირებელი მოწყობილობით, ან უნდა იქნეს კონსერვირებული ან ლიკვიდირებული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით".

15. 116-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის სხვა სახის დარღვევებისათვისაც".

16. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის VI კარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კარი VI

საერთაშორისო ხელშეკრულებები

**მუხლი 120.** საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, რომლებიც განსხვავებულია საბჭოთა წყლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

იგივე წესი გამოიყენება საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია სხვა წესები, რომლებიც განსხვავებულია საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან".

17. მე-9, მე-10, მე-15, მე-17, მე-19, 24-ე, 25-ე, 28-ე, 29-ე, 31-ე, 33-ე, 34-ე, 42-ე, 44-ე, 45-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე, 57-ე, 64-ე, 84-ე, 89-ე, 93-ე, 94-ე, 98-ე, 101-ე, 103-ე, 107-ე, 108-ე და 119-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების" და „საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა" და „საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია".

18. მე-10 და 44-ე მუხლებში სიტყვები „სამინისტრო, უწყება" შეიცვალოს სიტყვებით „სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება".

19. 99-ე და 109-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები" შეიცვალოს სიტყვებით „ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მაისი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 158 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორებად:

**გამყრელიძე ოთარ** კალენიკეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გვანცელაძე** ალექსანდრე ისიდორეს ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებელი.

**გოგოლაძე** ელდარ პლატონის ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**კალაევი** ჯალილ კარა ოღლი — საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსი იურისკონსულტი.

**კვაშალი** ტარიელ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

**კუდაშოვა** ნადეჟდა გენადის ასული — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსი ინსპექტორი.

**ლილუაშვილი** თენგიზ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

**ნიშნიანიძე** ნოდარ კონსტანტინეს ძე — ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი.

**პარინოვი** ვლადიმერ პეტრეს ძე — პენსიონერი.

**ტრახტენბერგი** ბორის ლევის ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი.

**ფალავანდიშვილი** აპოლონ ვლადიმერის ძე — ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე.

**შაშკინი** ნიკოლოზ ვასილის ძე — სპორტსაზოგადოება „დინამოს" განყოფილების გამგე.

**ჭანტურია** შოთა ბეგოს ძე — პენსიონერი.

**ჯანიაშვილი** აპოლონ პავლეს ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი.

**ჯინჯოლავა** ზაურ ვალერიანის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 159 საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და პრესის დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“**:

**აროშიძეს** მიხეილ ივანეს ძეს — ჟურნალ **„ეკონომისტის“** განყოფილების გამგეს.

**ბოლქვაძეს** ილია ასალოს ძეს—მრავალტირაჟიან გაზეთ **„ჩვენი საყვირის“** რედაქტორს.

**გელაშვილს** თენგიზ დავითის ძეს — საქართველოს რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

**ენუქიძეს** ჯიმშერ გიორგის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ უფროს კორესპონდენტს.

**ერმაშკევიჩს** ანდრია ანდრიას ძეს — გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ რედაქტორს.

**ვადაჭკორიას** ამირან ვარლამის ძეს — აჭარის ასსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს.

**იმნაძეს** რევაზ მიხეილის ძეს — **გაზეთ „საბჭოთა აჭარის“** განყოფილების გამგეს.

**კელენჯერიძეს** ანტონ კირილეს ძეს — პერსონალურ პენსიონერს.

**მაისურაძეს** ვახტანგ ილიას ძეს — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილეს.

**მარუაშვილს** გივი ალექსანდრეს ძეს — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ განყოფილების გამგეს.

**ნიკოლაიშვილს** ვახტანგ ვალერიანის ძეს — გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგეს.

**სტეპანოვს** თეიმურაზ გიორგის ძეს— საქინფორმის დირექტორს.

**ტერ-ოგანესიანს** სერგი ნიკიტას ძეს — გაზეთ **„გუდოკის“** საკუთარ კორესპონდენტს.

**შლარბას** ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს — გაზეთ „აფსნი ყაფშის“ მთარგმნელს.

**ჩერქეზიშვილს** ნიკოლოზ გიორგის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს.

**ხაჩატურიანს** გიორგი არშავირის ძეს — გაზეთ **„სოვეტაკან ვრასტანის“** განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 5 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 160 საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და პრესის დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი":

**გაბუნიას** დალილა კონსტანტინეს ასულს — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" ტექნიკურ რედაქტორს.

**გეწაძეს** გურამ გალაქტიონის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მბეჭდავს.

**გურგენაშვილს** რუსუდან ზაქარიან ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ასოთამწყობს.

**კუხალაშვილს** მიხეილ ლუკას ძეს — ჟურნალ „ნიანგის" უფროს რედაქტორს.

**ჯაფარიძეს** გური ნიკოლოზის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მბეჭდავს.

**ჯაფოშვილს** ივანე მიხეილის ძეს — გაზეთ „სახალხო განათლების" მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 161 ამხ. თ. მ. სამსონაძისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და პრესის დღესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიის მთავარ მხატვარს ამხ. თენგიზ მიხეილის ძე **სამსონაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 5 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 162 ამხ. ე. ვ. ალანიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების უფროსს ამხ. ეკატერინე ვლადიმერის ასულ **ალანიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 163 ამხ. მ. რ. კაკალაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგეს ამხ. მიხეილ რამიზის ძე **კაკალაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 164 ამხ. ნ. თ. სულავასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამეცნიერო-საექსპერტო საბჭოს მდივანს ამხ. ნაზი თევდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს ასულ **სულავას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**165** **ამხ. ი. ი. ქადარიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახალხო მეურნეობის ბალანსის სექტორის გამგეს ამხ. ივანე ივანეს ძე **ქადარიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**166** **საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რადიოს დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“:**

**ბელოუსოვას** თამარ ვასილის ასულს — **სოხუმის** ფოსტამტის ფოსტალიონს.

**კოხრეიძეს ვიქტორ** მიხეილის ძეს — კავშირგაბმულობის სამტრედიის რაიონული კვანძის კავშირგაბმულობის **იანეთის განყოფილების** უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ღონღაძეს** ბაგრატ ივანეს ძეს — კავშირგაბმულობის ხაშურის საექსპლუატაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორს.

**ხმალაძეს** ვლადიმერ ლევანის ძეს — კავშირგაბმულობის ახალციხის საექსპლუატაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წ. 15 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 167 ამხ. ს. ი. კაჭკაჭიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რადიოს დღესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარ ბუხჰალტერს ამხ. სტეფანე ივანეს ძე **კაჭკაჭიშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წ. 15 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 168 ამხ. ტ. ვ. როსტიაშვილისათვის საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ახალგაზრდა მუშათა პროფესიული მომზადებისა და ზნეობრივი აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატს ამხ. ტრიფონ ვახტანგის ძე **როსტიაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 16 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 169 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რადიოს დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“:**

**გოკიელს** იური ნიკოლოზის ძეს — კავშირგაბმულობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „გიპროსვიაზ-5“-ის განყოფილების უფროსს.

**ჭიჭუას** ლიდია კონსტანტინეს ასულს — ზუგდიდის რაიონული კვანძის ტელეგრაფის ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 16 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 170 ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“:**

**ბაგაევს** გაბრიელ კუზმას ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორს.

**ლექვინაძეს** სიმონ ლუკას ძეს — ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორს.

**მანჯავიძეს** მაყვალა გიორგის ასულს — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მასობრივი მუშაობის კაბინეტის გამგეს.

**შერვაშიძეს** კარლო ოსმანის ძეს — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 171 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობისა და სიმძლავრეთა ამოქმედების მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ ყველაზე თავგამოჩენილ მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**იმნაიშვილს** ალექსანდრე შალვას ძეს — ტრესტის მმართველის მოადგილეს.

**შათირაშვილს** ედონი ჯიმშეთის ძეს — № 90 მექანიზებული კოლონის უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“**

**დუნდუას** ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს — № 90 მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელს.

**ჩერკაშინას** ირინე კონსტანტინეს ასულს — № 8 მექანიზებული კოლონის უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 172 ამხ. ე. ე. ტურაბელიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური მუშაობისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. ელენე ერმალოს ასულ **ტურაბელიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 173 ამხ. გ. ბ. იარალოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჟურნალისტური მოღვაწეობის 50-ე წლისთავსა და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი ამხ. გრიგოლ ბოგდანის ძე **იარალოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წ. 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 174 გმირი ქალაქების კიევისა და ქერჩის მუზეუმების და ბრესტის გმირი ციხესიმაგრის მემორიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოსათვის ბრძოლებში მამაცურად დაღუპულ გმირთა, მათ შორის საქართველოს მეომართა, ვინაობის დასადგენად გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი საძიებო მუშაობისათვის, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში დამსახურებისათვის და 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდეს:

**კიევის დიდი სამამულო ომის ისტორიის მუზეუმი;**

**ქერჩის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი;**

**მემორიალური კომპლექსი „ბრესტის გმირი ციხესიმაგრე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 175 ამხ. ს. ლ. ბერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის პროფესორ-კონსულტანტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი სერგი ლეონტის ძე **ბერაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 176 ამხ. გ. ს. კლიმიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გურამ სიმონის ძე **კლიმიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 177 ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ბახვა თევდორეს ძე **ლობჟანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 178 ამხ. ა. ვ. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. არმაზ ვლადიმერის ძე **პაიჭაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 179 ამხ. მ. ა. სარქისიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საფინანსო სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამხ. მკრტიჩ ალექსანდრეს ძე **სარქისიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 180 ამხ. ვ. ს. შადურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვანო სიმონის ძე **შადური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 181 ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობასა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 182 ამხ. ა. ნ. საგანელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატრანსპორტო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მმართველი ამხ. ამირან ნიკოლოზის ძე **საგანელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 183 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რადიოს დღესთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**აბაშიძე** მარგარიტა გიორგის ასული — თბილისის საქალაქო სააგენტო „სოიუზპეჩატის" დამხარისხებელი.

**გომართელი** დარია ივანეს ასული — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო სამმართველოს წამყვანი ეკონომისტი.

**გურაშვილი** მათე გიორგის ძე — კავშირგაბმულობის სიღნაღის რაიონული კვანძის ტელეგრაფისტი.

**თელია** ლილი ადამის ასული — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციის ოპერატორი.

**იჩქიტიძე** კალენიკე იასონის ძე — თბილისის ფოსტამტის ფოსტალიონი.

**ლომთაძე** თინათინ ნიკოლოზის ასული — ქ. თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეგრაფისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაისურაძე** გაიოზ საბას ძე — საკავშირო ტელეფონმშენის ტრესტის თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სახაზო ნაგებობათა უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**მორჩილაძე** ალექსანდრე ასალის ძე — კავშირგაბმულობის მახარაძის რაიონული კვანძის უფროსის მოადგილე.

**მოსეშვილი** ეკატერინე ტროფიმეს ასული — აჭარის ასსრ კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს ბათუმის სატელეფონო-სატელეგრაფო სადგურის ტელეგრაფისტი.

**რუხაძე** გრიგოლ პავლეს ძე — საქალაქთაშორისო კავშირებისა და ტელევიზიის № 24 ტერიტორიული მართვითი ცენტრის მთავარი ინჟინერი.

**ფრუიძე** ბორის ნიკოლოზის ძე — კავშირგაბმულობის ხაშურის რაიონული კვანძის უფროსი.

**ქვარაია** გრიგოლ იოსების ძე — პენსიონერი (საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ფულად გზავნილებათა კონტროლის ბიუროს ყოფილი უფროსი).

**შუბითიძე** გივი სიკოს ძე — მაგისტრალური კავშირის № 1 ტექნიკური კვანძის საკაბელე უბნის უფროსი.

**წერეთელი** ოქრო ივანეს ძე — კავშირგაბმულობის გარდაბნის რაიონული კვანძის უფროსი.

**ჭიჭინაძე** გრიგოლ პლატონის ძე — პენსიონერი (თბილისის ფოსტამტის კავშირგაბმულობის განყოფილების ყოფილი უფროსი).

**ჭუმბურიძე** ვლადიმერ ვიქტორის ძე — კავშირგაბმულობის № 1 საექსპლუატაციო-ტექნიკური კვანძის მარნეულის სახაზო-ტექნიკური უბნის უფროსი.

**ჯაოშვილი** გიზო რაჟდენის ძე — კავშირგაბმულობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „გიპროსვიაზ-5"-ის საარქიტექტურო-სამშენებლო განყოფილების უფროსი.

**ჯიოევი** ვასილ სამსონის ძე — კავშირგაბმულობის ცხინვალის საქალაქო კვანძის მეკაბელე-მრჩილავი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი.** 1980 წ. 15 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 184 ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 185 ამხ. ვ. კ. გოგოძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვახტანგ კალისტრატეს ძე **გოგოძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 186 ამხ. ლ. დ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი სამმართველოს გორის კაპიტალური მშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველოს უფროსი ამხ. ლევან დავითის ძე **ინაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 187 ამხ. ჯ. მ. კოკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ჯიმშერ მიხეილის ძე **კოკაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 188 ამხ. ა. მ. ლაბახუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქორგტექსოფლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენის“ მართვის სისტემების სრულყოფისა და ეკონომიკური ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ამხ. არქიპო მირონის ძე **ლაბახუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 189 ამხ. ნ. პ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა ქოლობნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნესტორ პორფილეს ძე **მიქაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 190 ამხ. ე. ე. ნაკაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. ენვერ ეუბის ძე **ნაკაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 191 ამხ. მ. გ. რჩეულიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

წყალსამეურნეო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტის „წყალსაშენმასალების" თელავის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორი ამხ. მიხეილ გიორგის ძე **რჩეულიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 192 ამხ. გ. მ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზღვაო ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ამხ. გიორგი მიხეილის ძე **ჩხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 193 ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის" მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობისა და სიმძლავრეთა ამოქმედების მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ განსაკუთრებით თავგამოჩენილი მუშაკები:

**ბანცაძე** გივი სერგის ძე — № 90 მექანიზებული კოლონის ელექტროხაზგამყვანთა ბრიგადირი.

**ბიზიკაშვილი** გიორგი არსენის ძე — № 54 მექანიზებული კოლონის ელექტროხაზგამყვანთა ბრიგადირი.

**გოგოლაძე** ვაჟა ანდრიას ძე — № 90 მექანიზებული კოლონის მე-6 თანრიგის ელექტროხაზგამყვანი.

**გრიგორიანი** სურენ ტიგრანის ძე — ტრესტის სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე.

**გულაშვილი** ალექსი ზაქარიას ძე — მექანიზებული სამუშაოებისა და ტრანსპორტის სამმართველოს ავტომანქანის მძღოლი.

**კალანდაძე** დავით მაქსიმეს ძე — მექანიზებული სამუშაოებისა და ტრანსპორტის სამმართელოს უფროსი.

**კარმაზანაშვილი** ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — სამშენებლო კონსტრუქციების წარმოების კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

**ლაფანაშვილი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე — № 54 მექანიზებული კოლონის ელექტროხაზგამყვანთა ბრიგადირი.

**მოროზოვი** ნიკოლოზ ვასილის ძე — სამშენებლო კონსტრუქციების წარმოების კომბინატის ზეინკალთა ბრიგადირი.

**ტაბატაძე** ანზორ იოსების ძე — მექანიზებული კოლონა-8-ის ექსკავატორის მემანქანე.

**ქართველიშვილი** სერგო ივანეს ძე — მექანიზებული კოლონა-8-ის ექსკავატორის მემანქანე.

**შალვაშვილი** ნიკოლოზ შალვას ძე — მექანიზებული სამუშაოებისა და ტრანსპორტის სამმართველოს ბრიგადირი.

**ცინცაძე** გიზო მირიანის ძე — მექანიზებული კოლონა-1-ის ელექტროშემდუღებელი.

**ცხადაძე** გიორგი გალაქტიონის ძე — მექანიზებული კოლონა-1-ის ელექტროხაზგამყვანთა ბრიგადირი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 194 ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური მუშაობისათვის და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის შემდეგი მუშაკები:

**ალთუნაშვილი** გრიგოლ ივანეს ძე — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა სახლის ტექნიკის წრეების ხელმძღვანელი.

**გვენცაძე** ვასილ ნესტორის ძე — რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი.

**გოთოშია** ალბერტ შალვას ძე — თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი.

**ეპიტაშვილი** გიორგი გიორგის ძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი.

**ინჯია** ნოდარ სევასტის ძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სატრანსპორტო ლაბორატორიის გამგე.

**კიკნაძე** გიორგი ნიკოლოზის ძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი.

**მოვსესოვი** ბორის მოვსესის ძე — თბილისის 91-ე საშუალო სკოლის ტექნიკოსთა წრის ხელმძღვანელი.

**მუშბა** ევგენი ნიკოლოზის ძე — სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის წრის ხელმძღვანელი.

**პაპიძე** აკაკი გალაქტიონის ძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფიზიკის ლაბორატორიის გამგე.

**ულენტი** არჩილ ილარიონის ძე — ქ. თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი.

**უნგიაძე** კლარა თეოფანეს ასული — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე.

**ქაჯაია** ჯიმშერ ლევანის ძე — ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი.

**ქორიძე** მიხეილ გიორგის ძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ლაბორატორიის გამგე.

**შმატკოვი** რუდოლფ თევდორეს ძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიამოდელების ლაბორატორიის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარგეიშვილი როინ ირაკლის ძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოტექნიკის ლაბორატორიის გამგე.

ჯავახოვი გიორგი არკადის ძე — ქობულეთის ნორჩ ტექნიკოსთა რაიონული სადგურის დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 მაისი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1980 წლის 29 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების ღონისძიებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მითითებათა შესაბამისად და გამომდინარეობენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებებიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან, იმ დებულებებიდან და დასკვნებიდან, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში, მოხსენებებსა და შრომებში, 1980 წლის 22 თებერვალს ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქმულ მის სიტყვასა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 4 მარტის სხდომაზე გამოსვლაში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალოთ:

— ადგილობრივი საბჭოების სესიებზე სპეციალურად განიხილონ საკითხი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადების შესახებ და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები საბჭოების ყველა რგოლის, მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების, მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და საბჭოთა აქტივის საქმიანობის სრულყოფისათვის;

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX და XX პლენუმების გადაწყვეტილებათა მოთხოვნების შესაბამისად კრიტიკულად გაანალიზონ საქმის ვითარება სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე; უზრუნველყონ პარტიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის საპროგრამო მოთხოვნების განუხრელად შესრულება სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ამაღლების, მშრომელთა ფართო მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცების შესახებ;

— ყრილობებისათვის მზადების პერიოდში მთელი ორგანიზატორული მუშაობა დაუქვემდებარონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტას, მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლებას X ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში 1980 წელს XI ხუთწლედის საიმედო ბაზის შესაქმნელად;

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად; მუშაობის მოწინავე გამოცდილების, მოწინავე ფორმებისა და მეთოდების მხარდაჭერასა და გავრცელებას, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მომჭირნეობის რეჟიმს, ბუნებრივ სიმდიდრეთა, შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

— თანამიმდევრულად განამტკიცონ საშემსრულებლო დისციპლინა საბჭოებში, სრულყონ მათი მუშაობის სტილი და მეთოდები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრებას; მეტი შეუპოვრობა გამოიჩინონ მუშაობაში ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და უპასუხისმგებლობის აღმოსაფხვრელად, შრომით კოლექტივებში დისციპლინის განსამტკიცებლად, უყაირათობასა, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევასთან ბრძოლის გასაძლიერებლად;

— მეტი დახმარება გაუწიონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს დეპუტატის უფლებამოსილების შესრულებაში.

სათანადო დავალებანი მიეცათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

განიხილა რა საკითხი „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების (1980 წ. 4 მარტის რედაქციით) გამოყენების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულება დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს და დაევალოთ მათ ეს ბრძანებულება გააცნონ ყველა საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, წარმოება-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა განუხრელად იხელმძღვანელონ „მოქალაქეთა წინადადებებისა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით, რისთვისაც:

დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა წერილებზე დროულ რეაგირებას, მათი განხილვის ვადების დაცვისა და სწორად გადაწყვეტისადმი მკაცრი და ყოველდღიური კონტროლის დაწესებას; სისტემატურად გააანალიზონ საჩივრებისა და განცხადებების (განსაკუთრებით განმეორებითის) წარმომშობი მიზეზები და მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

პერიოდულად, წელიწადში ორჯერ მაინც, შეამოწმონ მოქალაქეთა მიღებისა და მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში; შემოწმებათა შედეგები მოისმინონ კოლეგიებისა და აღმასკომების სხდომებზე და მიიღონ სათანადო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

*

* *

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების ინფორმაცია „მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესაბამისად მშრომელთა წერილებზე სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე“ საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 14 ივნისის დადგენი-ლების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა ამ დადგენილების შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობის დონის ამაღლებისათვის შეიმუშავა ღონისძიებების გეგმა, რომლის განხორციელებამ ხელი შეუწყო განცხადება-საჩივრებზე მუშაობის უკეთ წარმართვას.

ამასთან ერთად ხაზი გაესვა, რომ აღმასკომის სხდომებზე ჯერ კიდევ ღრმად არ აანალიზებენ მშრომელთა წერილების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობას, განცხადება-საჩივრების შემოწმების შედეგებს, იშვიათად ისმენენ დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს მშრომელთა წერილებზე მუშაობის შესახებ; არ ხდება განცხადება-საჩივრებში აღძრული საკითხების განზოგადება, შეინიშნება მათი დაგვიანებით განხილვის, აღძრული საკითხების გადაწყვეტის უმიზეზოდ გაჭიანურებისა და რეაგირების გარეშე დატოვების ცალკეული შემთხვევები.

*

*      *

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკაში წყლის რესურსების დაცვის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, წყალდაცვითი ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რესპუბლიკაში რამდენადმე შემცირდა წყლის ობიექტების გაჭუჭყიანება ჩამდინარე წყლებით, გაუმჯობესდა მდინარეებისა და წყალსატევების სანიტარიული მდგომარეობა, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში აშენდა გამწმენდი ნაგებობანი.

მიუხედავად ამისა წყლის ობიექტების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მდგომარეობა რესპუბლიკაში კვლავ არადამაკმაყოფილებელია. არ სრულდება წყლის კანონმდებლობის მოთხოვნები და სადირექტივო ორგანოების დადგენილებანი წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების შესახებ.

საქართველოს სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო და ტრესტი „ჰიდროენერგომშენი“ სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან საკანალიზაციო და გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

იმის გამო, რომ ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს წყლის რესურსების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეს, სისტემატურად ირღვევა გამწმენდ ნაგებობათა მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი და დანადგარების ექსპლუატაციის წესები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურისა და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოები ქმედით კონტროლს არ უწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობისა და არსებული ნაგებობების ნორმალური ექსპლუატაციის საკითხებს.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში კვლავ შეინიშნება წყლის კანონმდებლობით დადგენილი წყლის ობიექტებით სარგებლობის წესების უხეში დარღვევები — მდინარეებსა და წყალსაცავებში ხშირად ხვდება გაუწმენდავი ან არასაკმარისად გაწმენდილი ჩამდინარე წყლები, წყლის ობიექტები ჭუჭყიანდება ნავთობპროდუქტებითა და სხვა სამრეწველო ნარჩენებით. მაგალითად, წყლის ობიექტებს ჩამდინარე წყლებით აჭუჭყიანებენ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების საწარმოები, ხოლო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთ საწარმოს დღემდე არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობანი.

საზღვაო ნავსადგურები ვერ უზრუნველყოფენ ჩამდინარე წყლების გაწმენდას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები სრულად არ იყენებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, სუსტად ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს წყალსატევების სანიტარიული დაცვის მდგომარეობაზე; სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე იშვიათად იხილავენ წყლის რესურსების დაცვისა და მათი რაციონალურად გამოყენების საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ნ. ა. ჭითანავას ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების და წინადადებების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ; განხილულ იქნა საკითხები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1979 წელს მიღებულ დადგენილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ; საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ მთელი მოწვევის განმავლობაში (1980-1985 წწ.); საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა თემატური შეხვედრების სანიმუშო პროგრამის შესახებ; საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების თაობაზე და სხვ.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმის 1980 წლის 29 მაისის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 2038 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონიდან | | 39 |
| ქ. ქუთაისის ლენინის რაიონიდან | | 81 |
| ქ. ზუგდიდიდან | | 37 |
| ქ. წყალტუბოდან | | 24 |
| ახალციხის | რაიონიდან | 111 |
| ახალქალაქის | „ | 101 |
| ახმეტის | „ | 124 |
| ბოგდანოვკის | „ | 68 |
| ბორჯომის | „ | 19 |
| გარდაბნის | „ | 40 |
| დუშეთის | „ | 77 |
| ვანის | „ | 95 |
| კასპის | „ | 32 |
| ლაგოდეხის | „ | 38 |
| ლენტეხის | „ | 141 |
| მაიაკოვსკის | „ | 29 |
| მახარაძის | „ | 292 |
| ო ნ ი ს | „ | 350 |
| საგარეჯოს | „ | 76 |
| ქარელის | „ | 15 |
| ჩოხატაურის | „ | 91 |
| წალენჯიხის | „ | 60 |
| ხ ო ბ ი ს | „ | 98 |